სისტემების, სადაც ხდება მოძრაობა აღრევით, ერთ-ერთი დამახასიათებელი სიდიდეა კოლმოგოროვის ენტროპია. განვიხილოთ ფაზური სივრცის რაიმე მცირე უჯრედი. როდესაც ხდება მოძრაობა აღრევით, ის უნდა განერთხეს მთელ ფაზურ სივრცეში. ეს იმას ნიშნავს რომ წერტილები რომლებიც ახლოს იყვნენ ერთმანეთთან დროის საწყის მომენტში, რაღაც დროის შემდეგ ერთმანეთს შორდებიან და მოძრაობენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ამიტომაც აღრევითი მოძრაობა მოსალოდნელია ისეთ არამდგრად სისტემებში, რომლებშიც დროის განმავლობაში ფაზური ტრაექტორიები სწრაფად სცილდებიან ერთმანეთს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ საწყისი პირობების რაგინდ მცირე შემფოთებას მივყავართ ფაზური ტრაექტორიების რაგინდ დიდ დაცილებამდე შეუშფოთებელი მოძრაობის ტრაექტორიისაგან. ამ დროს ამბობენ რომ ადგილი აქვს ლოკალურ არამდგრადობებს, ეს კი იმას ნიშნავს რომ არსებობს მიმართულებები ფაზურ სივრცეში, საითკენაც მანძილი ორ ფაზურ წერტილს შორის იზრდება ექსპონენციალურად [12, 30]:

$$D(t) = D(0)e^{h_0 t} \tag{1.86}$$

სადაც  $h_0 = \sum_k \lambda_k$ ,  $\lambda_k$  ლიაპუნოვის დადებითი მაჩვენებლებია  $\lambda_k > 0$ . მაშინ კოლმოგოროვის ენტროპია განისაზღვრება შემდეგნაირად [30]:  $h = \langle h_0 \rangle$ , სადაც  $\langle \rangle$  აღნიშნავს ფაზურ საშუალოს. თავისი განმარტებით ქაოსური სისტემებისათვის კოლმოგოროვის ენტროპია ყოველთვის დადებითია:  $h > 0$ .

სისტემებში, რომლებშიც ხდება მოძრაობა აღრევით ადგილი აქვს კორელაციების გაწყვეტას [21-22, 29-30, 38]:

$$P(f; g; t) = \langle f(F^t x) g(x) \rangle - \langle f(x) \rangle \langle g(x) \rangle = 0 \tag{1.87}$$

სადაც  $P(f, g, t)$  კორელაციური ფუნქციაა,  $f(x) = f(x_1, \dots, x_n)$ ,  $g(x) = g(x_1, \dots, x_n)$  ფიზიკური სიდიდეებია რომლებიც ახასიათებენ სისტემას..

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ როდესაც სისტემაში ადგილი აქვს მოძრაობას აღრევით,  $\tau_c$  დროის შემდეგ ფიზიკური სიდიდეები თავის საწყის პირობებს ივიწყებენ და ხდებიან სტატისტიკურად დამოუკიდებელნი.  $\tau_c$  სისტემის

აღრვეის დროა. (1.86)-ის თანახმად ეს დრო შედეგნაირად არის დაკავშირებული კოლმოგოროვის ენტროპიასთან:  $h \sim 1/\tau_c$ . ამრიგად კოლმოგოროვის ენტროპიის შებრუნებული სიდიდე განსაზღვრავს სისტემის აღრვეის დროს.  $t \gg \frac{1}{h}$  დროის გასვლის შემდეგ, თუ სისტემა კონსერვატიულია, ფაზური სივრცის საწყისი  $\Omega_0$  არე განითხმება მთელ ენერგეტიკულ ზედაპირზე, ანდა მიიზიდება უცნაური ატრაქტორისკენ, თუ გვაქვს დისიპაციური დინამიური სისტემა.  $t \ll \tau_c \sim \frac{1}{h}$  დროებში სისტემის მოძრაობა შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ საკმაო სიზუსტით.  $t \gg \tau_c \sim \frac{1}{h}$  დროის შემდეგ სისტემის მოძრაობა აღიწერება სტატისტიკური კანონებით.

კიდევ ერთი ფორმალური განსხვავება ერგოდულ მოძრაობასა და აღრვეით მოძრაობას შორის მდგომარეობს სისტემის სპექტრალური თვისებების განსხვავებაში. შემოვიტანოთ  $P(f, f, t)$  კორელატორის სპექტრალური

$$\text{სიმკვრივე: } P(f, f, t) = \int_{-\infty}^{+\infty} d\omega e^{i\omega t} P(\omega). \quad (1.88)$$

ერგოდული მოძრაობისათვის სპექტრი დისკრეტულია ე.ი:

$$P(\omega) = \sum_k P_k \delta(\omega - \omega_k) \quad \text{რაც ნიშნავს სისტემის პირობითად პერიოდულ}$$

მოძრაობას  $\omega_k$  სისშირეებით.  $\omega_k$  სისშირეების სიმრავლე შეიძლება იყოს უსასრულო ე.ი. სისშირეთა სპექტრი დისკრეტულია, თუმცა შეიძლება იყოს უსასრულო. ხოლო, თუ სისტემაში გვაქვს მოძრაობა აღრვეით, სისშირეთა სპექტრი უწყვეტია [21, 30]. ქაოსური მოძრაობისათვის დამახასიათებელია უწყვეტი ფურიე სპექტრი.

ვაჩვენოთ ახლა რომ არაწრფივ ჰამილტონურ რხევით სისტემაში მოძრაობის არამდგრადობა დაკავშირებულია ფაზური ტრაექტორიების გაჭიმვასთან  $\theta$  ცვლადით.

ამისათვის განვიხილოთ არაწრფივი კონსერვატიული რხევითი სისტემა, რომელზეც მოქმედებს პერიოდული ბიძგები:

$$H = H_0 + \varepsilon V(I, \theta, t) = H_0 + \varepsilon V(I, \theta) T \sum_{k=-\infty}^{+\infty} \delta(t - kT); \quad (1.89)$$


მაშინ მოძრაობის განტოლებებისათვის  $\left( \dot{I} = -\frac{\partial H}{\partial \theta}, \dot{\theta} = \frac{\partial H}{\partial I} \right)$  მივიღებთ:

$$\begin{cases} \dot{I} = -\frac{\partial V(I, \theta, t)}{\partial \theta} = -\varepsilon \frac{\partial V(I, \theta)}{\partial \theta} T \sum_{k=-\infty}^{+\infty} \delta(t - kT) \\ \dot{\theta} = \omega(I) + \varepsilon \frac{\partial V(I, \theta, t)}{\partial I} = \omega(I) + \varepsilon \frac{\partial V}{\partial I} T \sum_{k=-\infty}^{+\infty} \delta(t - kT) \end{cases} \quad (1.90)$$

დაუშვათ ბიძგი ხდება რაღაც  $t = t_0$  დროის მომენტში. განვსაზღვროთ  $\hat{T}$  ასახვა შემდეგნაირად (ნახ.1.17):

$$(\bar{I}, \bar{\theta}) = \hat{T}(I, \theta), \quad (1.91)$$

$$\bar{I} = I(t_0 + T - 0), \quad \bar{\theta} = \theta(t_0 + T - 0), \quad I = I(t_0 - 0), \quad \theta = \theta(t_0 - 0)$$



ნახ.1.17 უნივერსალური ასახვის მიღება

$\hat{T}$  ასახვა მიიღება, როგორც თანმიმდევრული  $\hat{T}_\delta$  ბიძგის ოპერატორისა და თავისუფალი  $\hat{T}_R$  მოძრაობის (ტორზე ბრუნვის) ოპერატორის ნამრავლი:

$$\hat{T} = \hat{T}_R \cdot \hat{T}_\delta.$$

$\hat{T}_\delta$  ოპერატორს გადაჰყავს სისტემა  $(I(t_0-0), \theta(t_0-0))$  მდგომარეობიდან  $(I(t_0+0), \theta(t_0+0))$  მდგომარეობაში:  $(I(t_0+0), \theta(t_0+0)) = \hat{T}_\delta(I(t_0-0), \theta(t_0-0))$ .

იმისათვის რომ მივიღოთ  $\hat{T}_\delta$  გავაინტეგროთ სისტემა  $(t_0-0, t_0+0)$  ბიძგის მახლობლობაში. (1.90) განტოლებათა სისტემიდან მივიღებთ:

$$I(t_0+0) - I(t_0-0) = \int_{t_0-0}^{t_0+0} \dot{I} dt = -\varepsilon T \frac{\partial V(I; \theta)}{\partial \theta}; \quad (1.92)$$

$$\theta(t_0+0) - \theta(t_0-0) = \int_{t_0-0}^{t_0+0} \dot{\theta} dt = \varepsilon T \frac{\partial V(I; \theta)}{\partial I}.$$

$\hat{T}_R$  ბრუნვის ოპერატორს გადაჰყავს სისტემა  $(I(t_0+0), \theta(t_0+0))$  მდგომარეობიდან,  $(I(t_0+T-0), \theta(t_0+T-0))$  მდგომარეობაში:

$$(I(t_0+T-0), \theta(t_0+T-0)) = \hat{T}_R(I(t_0+0); \theta(t_0+0)).$$

(1.90) მოძრაობის განტოლებიდან:

$$\begin{cases} I(t_0+T-0) = I(t_0+0) = \bar{I} \\ \theta(t_0+T-0) = \theta(t_0+0) + \omega(\bar{I})T \end{cases} \quad (1.93)$$

(1.91) და (1.92) განტოლებების გაერთიანება გვაძლევს:

$$\begin{cases} \bar{\theta} = \theta + \omega(\bar{I})T + \varepsilon T \frac{\partial V(I, \theta)}{\partial I}; \\ \bar{I} = I - \varepsilon T \frac{\partial V(I, \theta)}{\partial \theta} \end{cases} \quad (1.94)$$

(1.94) ასახვა ერთმანეთს აკავშირებს  $(I_n, \theta_n)$  ცვლადებს  $n$  ბიძგამდე და  $n$  ბიძგის შემდეგ  $(I_{n+1}, \theta_{n+1}) = \hat{T}(I_n, \theta_n)$ :



$$\begin{cases} \theta_{n+1} = \theta_n + \omega(I_{n+1})T + \varepsilon T \frac{\partial V(I_n, \theta_n)}{\partial I_n}; \\ I_{n+1} = I_n - \varepsilon T \frac{\partial V(I_n, \theta_n)}{\partial \theta_n}. \end{cases} \quad (1.95)$$

მივიღეთ უნივერსალური ასახვა. (1.95) ასახვა ზუსტია. მისი შემდგომი გამარტივების მიზნით დავუშვათ, რომ  $V$  არის მხოლოდ ერთი ცვლადის  $\theta$ -ს ფუნქცია. მაგალითად განვიხილოთ როტატორი ჩახშობის გარეშე, რომელზეც მოქმედებს პერიოდული ბიძგები. მისი ჰამილტონიანი ქმედება კუთხის ცვლადებში ჩაიწერება ასე:

$$H = \frac{I^2}{2} + \varepsilon V(\theta) \cdot T \sum_{k=-\infty}^{+\infty} \delta(t - kT) \quad (1.96)$$

მაშინ  $\omega(I) = I$  და (1.95) ასახვა მიიღებს ასეთ სახეს:

$$\begin{cases} \theta_{n+1} = \theta_n + \omega(I_{n+1}) \cdot T \\ I_{n+1} = I_n - \varepsilon T \frac{\partial V(\theta_n)}{\partial \theta_n} \end{cases} \quad (1.97)$$

შემდგომი გამარტივება მდგომარეობს  $V$  პოტენციალის სახის არჩევაში თუ ავირჩევთ რომ  $V = V_0 \cos \theta$ , მაშინ მივიღებთ:

$$\begin{cases} \theta_{n+1} = \theta_n + \omega(I_{n+1}) \cdot T \\ I_{n+1} = I_n + \varepsilon V_0 T \sin \theta_n \end{cases} \quad (1.98)$$

თუ ავიღებთ  $T = 1$  და შემოვიღებთ აღნიშვნას  $K = -\varepsilon V_0$  მაშინ მივიღებთ ეგრეთ წოდებულ ჩირიკოვის ანუ სტანდარტულ ასახვას [27-28]. ამ ასახვას მივიღებთ თუ განვიხილავთ როტატორის ამოცანას ჩახშობის გარეშე და (1.11) ფორმულებში გადავალთ ზღვარზე ( $\Gamma \rightarrow 0$ ) და ავიღებთ:  $Kf(x_n) = -K \sin x_n$

$$\begin{cases} \theta_{n+1} = \theta_n + \omega(I_{n+1}) \\ I_{n+1} = I_n - K \sin \theta_n \end{cases}$$

მოცემული ასახვა გადავწეროთ შემდეგნაირად:

$$\begin{cases} \theta_{n+1} = \theta_n + \omega(I_n) - K \sin \theta_n; \\ I_{n+1} = I_n - K \sin \theta_n. \end{cases} \quad (1.99)$$

მოცემული სისტემისათვის არაწრფივობის პარამეტრი:

$$\gamma_m = \left( \frac{d\omega(I_m)}{dI} \right) \cdot \frac{I_m}{\omega(I_m)} = 1, \quad \text{ხოლო შეშფოთების როლს თამაშობს } K = -\varepsilon V_0$$

სიდიდე ამიტომ  $K'$  კოეფიციენტისათვის რომელიც ახასიათებს რეზონანსების

გადაფარვას შეგვიძლია დავწეროთ:  $K' \sim \sqrt{|K|}$ . როდესაც  $K \gg 1$ , მაშინ  $K' \gg 1$  ადგილი აქვს რეზონანსების გადაფარვას, რომელსაც მივყავართ ქაოსურ მოძრაობამდე.

ვანხვით ახლა რომ რეზონანსების გადაფარვა პირდაპირ არის დაკავშირებული ფაზური ტრაექტორიების გაჭიმვასთან და ტრაექტორიების აღრევასთან ფაზურ სივრცეში. ამისათვის განვიხილოთ სიდიდე:

$$\left| \frac{\delta\theta_{n+1}}{\delta\theta_n} - 1 \right| = |K \cdot \cos \theta_n| \quad (1.100)$$

რომელიც ახასიათებს ფაზების გაჭიმვას.

როცა  $K \ll 1$  მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მოძრაობის მდგრადობაზე კამ თეორიის შესაბამისად, რადგანაც საწყის მომენტში ახლოს მდებარე ფაზური ტრაექტორიები რჩებიან ერთმანეთთან ახლოს ევოლუციის პროცესში. , როცა  $K \gg 1$ , მაშინ ხდება ლოკალური არამდგრადობები, რომელსაც მივყავართ ტრაექტორების აღრევასთან ფაზურ სივრცეში. მაგრამ რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს  $K$ -ს მნიშვნელობები, ყოველთვის არსებობს კუთხების ისეთი არე:  $\Delta\theta \leq 1/K$ , როდესაც  $|K \cdot \cos \theta| < 1$  და გაჭიმვა არა გვაქვს. ეს არეები განლაგდებიან  $\theta = \pi/2$  მახლობლად და მას შეესაბამება მდგრადი ტრაექტორიები.

ვანხვით ახლა, რომ არამდგრადობებს, რომლებიც წარმოქმნება ფაზების გაჭიმვის შედეგად მივყავართ, კორელაციების გაწყვეტამდე და შესაბამისად ტრაექტორიების აღრევამდე ფაზურ სივრცეში. ამისათვის განვიხილოთ კორელაციის ფუნქცია ფაზებისათვის [29-30]:

$$P(r t_n | s, 0) = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta_0 e^{i(r\theta_n - s\theta_0)} \quad (1.101)$$

სადაც  $r$  და  $s$  მთელი დადებითი რიცხვებია, ხოლო  $t_n = nT = n$  ( $T = 1$ ).

(1.99)-დან ჩავსვათ  $\theta_n$  როგორც  $\theta_{n-1}$ -ის ფუნქცია, მაშინ მივიღებთ:

$$P(r t_n | s, 0) = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta_0 e^{i(r\theta_{n-1} + r\omega - 2K \sin \theta_{n-1} - s\theta_0)} \quad (1.102)$$

გავითვალისწინოთ ცნობილი გაშლა [41]:

$$e^{-iz \sin \varphi} = \sum_{m=-\infty}^{+\infty} (-1)^m J_m(z) e^{im\varphi} \quad (1.103)$$

და ცნობილი თანაფარდობა:  $J_{-n}(x) = (-1)^n J_n(x)$  სადაც  $J_n(x)$  ბესელის ფუნქციაა.

მაშინ კორელაციის ფუნქციისათვის გვექნება:

$$\begin{aligned}
P(r, t_n | s, 0) &= \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta_0 e^{i(r\theta_{n-1} + r\omega - 2K \sin \theta_{n-1} - s\theta_0)} = \\
&= \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta_0 e^{i(r\theta_{n-1} + r\omega - s\theta_0)} e^{-irk \sin \theta_{n-1}} = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta_0 e^{i(r\theta_{n-1} + r\omega - s\theta_0)} \sum_{m=-\infty}^{+\infty} (-1)^m J(rk) e^{im\theta_{n-1}} = \\
&= \frac{1}{2\pi} e^{ir\omega} \sum_{m_1=-\infty}^{+\infty} J_{m_1}(rk) \int_0^{2\pi} e^{i((r-m_1)\theta_{n-2} + (r-m_1)\omega - (r-m_1)K \sin \theta_{n-2})} = \\
&= \frac{1}{2\pi} e^{2ior} \sum_{m_1=-\infty}^{+\infty} \sum_{m_2=-\infty}^{+\infty} J_{m_1}(rK) J_{m_2}((r-m_1)K) e^{-im_1\omega} e^{i((r-m_1-m_2)\theta_{n-1} - s\theta_0)} = \\
&= e^{inr\omega} \sum_{m_1=-\infty}^{+\infty} \dots \sum_{m_n=-\infty}^{+\infty} J_{m_1}(rK) J((r-m_1)K) \dots J_{m_n}((r-m_1 \dots - m_{n-1})K) P(r-m_1 \dots - m_n, 0 | s, 0)
\end{aligned} \tag{1.104}$$

ადვილი დასაბუთებია, რომ  $P(m, 0 | n, 0) = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} e^{i(m-n)\theta_0} d\theta_0 = \delta_{mn}$ .

გარდა ამისა თუ გამოვიყენებთ ბესელის ფუნქციების ასიმპტოტიკას [4]:

$$J_m(z) \sim \frac{1}{(z)^{1/2}}, \quad z \gg 1 \quad \text{მაშინ მივიღებთ:}$$

$$P(r, t_n | s, 0) \sim \frac{1}{K^{n/2}} e^{inr\omega} = \frac{1}{K^{n/2}} e^{inr\omega T} = e^{-t_n/\tau_c} e^{inr\omega T} \tag{1.105}$$

სადაც  $\tau_c = \frac{2T}{\ln K}$  კორელაციის გაწყვეტის დროა. ამრიგად ფაზებისთვის  $\tau_c$ -

კორელაციის გაწყვეტის დროის არსებობა ნიშნავს ფაზური ტრაექტორიების აღრევას. ე.ი. ჩვენ ვახვეწებთ, რომ რეზონანსების გადაფარვას მიყვავართ ფაზური ტრაექტორიების გაჭიმვამდე და მოძრაობის არამდგრადობამდე, რასაც თავის მხრივ მიყვავართ ფაზური ტრაექტორიის აღრევამდე. შეგვიძლია წავიღოთ უფრო შორს და აღრევითი მოძრაობისათვის დავწეროთ კინეტიკური განტოლება.

კინეტიკური განტოლების მისაღებად გამოვიღოთ უწყვეტობის განტოლებიდან განაწილების ფუნქციისათვის:

$$\frac{\partial f(t, I, \varphi)}{\partial t} + \frac{\partial}{\partial \varphi} [\dot{\varphi} f(t, I, \varphi)] + \frac{\partial}{\partial I} [\dot{I} f(t, I, \varphi)] = 0, \tag{1.106}$$

საიდანაც (1.90) განტოლებათა სისტემის გათვალისწინებით ვღებულობთ ლიუვილის განტოლებას:

$$\begin{aligned}
i \frac{\partial f}{\partial t} &= (\hat{L}_0 + \varepsilon \hat{L}_1) f \\
\hat{L}_0 &= i\omega(I) \frac{\partial}{\partial \theta},
\end{aligned} \tag{1.107}$$

$$\hat{L}_1 = -i \left( \frac{\partial V}{\partial I} \frac{\partial}{\partial \theta} - \frac{\partial V}{\partial \theta} \frac{\partial}{\partial I} \right),$$

ჩვენ ვთვალთ რომ  $f(t, s_z, \theta)$   $\theta$ -ს პერიოდული პუნქციაა. ამიტომ ის წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$f(t, I, \theta) = \frac{1}{2\pi} \sum_n \exp[in \left( \theta - \int_0^t \omega(t') dt' \right)] f_n(I, t) \quad (1.108)$$

ჩვენ ვათვალიყვით (1.108) (1.107)-ში, საიდანაც მივიღებთ:

$$i \frac{\partial f_n(I, t)}{\partial t} = \varepsilon \sum_m \langle n | \hat{L}_1 | m \rangle \exp[i(m-n) \int_0^t \omega(t') dt'] f_m(I, t) \quad (1.109)$$

$$\text{სადაც } \langle n | \hat{L}_1 | m \rangle = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta e^{-in\theta} \hat{L}_1 e^{im\theta} \quad (1.110)$$

(1.109)-ის ფორმალური ამოხსნა შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$f_n(I, t) = f_n(I, 0) - i\varepsilon \sum_m \int_0^t dt_1 \exp[i(m-n) \int_0^{t_1} \omega(t') dt'] \langle n | \hat{L}_1 | m \rangle f_m(I, t) \quad (1.111)$$

(1.111) განტოლების იტერაცია მეორე რიგამდე მოგვცემს:

$$\begin{aligned} f_n(I, t) = & f_n(I, 0) - i\varepsilon \sum_m \int_0^t dt_1 \exp\left[i(n-m) \int_0^{t_1} \omega(t') dt'\right] \langle n | \hat{L}_1(t_1) | m \rangle f_m(I, 0) + \\ & + (-i\varepsilon)^2 \sum_m \sum_k \int_0^t dt_1 \int_0^{t_1} dt_2 \exp\left[i(n-m) \int_0^{t_1} \omega(t') dt'\right] \cdot \langle n | \hat{L}_1(t_1) | m \rangle \cdot \\ & \cdot \exp\left[i(m-k) \int_0^{t_2} \omega(t') dt'\right] \langle m | \hat{L}_1(t_2) | k \rangle f_k(I, 0) \end{aligned} \quad (1.112)$$

აქედან ნულოვანი კომპონენტისათვის მივიღებთ:

$$\begin{aligned} f_0(I, t) = & f_0(I, 0) - i\varepsilon \sum_m \int_0^t dt_1 \exp\left[i(-m) \int_0^{t_1} \omega(t') dt'\right] \langle 0 | \hat{L}_1(t_1) | m \rangle f_m(I, 0) + \\ & + (-i\varepsilon)^2 \sum_m \sum_k \int_0^t dt_1 \int_0^{t_1} dt_2 \exp\left[i(-m) \int_0^{t_1} \omega(t') dt'\right] \cdot \langle 0 | \hat{L}_1(t_1) | m \rangle \cdot \\ & \cdot \exp\left[i(m-k) \int_0^{t_2} \omega(t') dt'\right] \langle m | \hat{L}_1(t_2) | k \rangle f_k(I, 0) \end{aligned} \quad (1.113)$$

ჩვენ ვთვალთ რომ  $\hat{L}_1(t)$  წარმოადგენს  $t$ -ს პერიოდულ ფუნქციას  $t = 2\pi / \Omega$  პერიოდით. მაშინ შეგვიძლია დავწეროთ:

$$\hat{L}_1 = \sum_p L_{1p} \exp(ip\Omega t) \quad L_{1,-p} = L_{1,p}^* \quad (1.114)$$

ამ გამოსახულების ჩასმა (1.113) გამოსახულებაში გვაძლევს:

$$\begin{aligned} f_0(I, t) = & f_0(I, 0) - \\ & - i\varepsilon \sum_m \int_0^t dt_1 \exp[im \int_0^{t_1} \omega(t') dt'] \langle 0 | \hat{L}_1 | m \rangle f_m(I, 0) + \\ & + (-i\varepsilon)^2 \sum_m \sum_p \int_0^t dt_1 \int_0^{t_1} dt_2 \exp[im \int_{t_1}^{t_2} \omega(t') dt'] \langle 0 | \hat{L}_{1p}(t_1) | m \rangle \langle m | \hat{L}_{1-p}(t_2) | 0 \rangle e^{ip\Omega(t_1-t_2)} f_0(I, 0) + \\ & + \varepsilon^2 \Sigma' \end{aligned} \quad (1.115)$$

სადაც  $\varepsilon^2 \Sigma'$  აღნიშნულია ყველა დანარჩენი სწრაფად ოსცილირებადი არარეზონანსული წევრები, ამიტომ ისინი შეგვიძლია უგულებელვყოთ როცა  $t \rightarrow \infty$ .

შემოვიღოთ საწყისი ფაზებით გასაშუალოება  $\langle\langle \dots \rangle\rangle = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta_0$  და აღნიშნებო:

$$\Psi(t_2, t_1) = \int_{t_1}^{t_2} \omega(t') dt', \quad F(I, t) = \langle\langle f_0(I, t) \rangle\rangle. \quad \text{მაშინ (1.115)-დან მივიღებთ:}$$

$$F(I, t) = f_0(I, 0) - i\varepsilon \sum_m \int_0^t dt_1 \langle\langle \exp(im\Psi(t_1, 0)) \rangle\rangle \langle 0 | \hat{L}_1 | m \rangle f_m(I, 0) - \quad (1.116)$$

$$+ (-i\varepsilon)^2 \sum_m \sum_p \int_0^t dt_1 \int_0^{t_1} dt_2 \langle\langle \exp[-im\Psi(t_1, t_2)] \rangle\rangle \langle 0 | \hat{L}_{1p} | m \rangle \langle m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle e^{ip\Omega(t_1-t_2)} f_0(I, 0).$$

მოძრაობის განტოლებებიდან შეგვიძლია დავწეროთ:

$$\dot{\theta} \approx -\omega(I), \quad \text{ამიტომ } \Psi(t_1, t_2) = \int_{t_2}^{t_1} \omega(t') dt' = \theta(t_1) - \theta(t_2) \quad (1.117)$$

რადგანაც ჩვენ გვაქვს მოძრაობა აღრევით ამიტომ (1.105) გამოსახულების ანალოგიურად შეგვიძლია დავწეროთ:

$$\langle\langle \exp im\Psi(t_1, 0) \rangle\rangle = \langle\langle \exp(im(\theta(t_1) - \theta(0))) \rangle\rangle \approx \exp(-t_1 / \tau_c) \exp(-im\omega t_1). \quad (1.118)$$

სადაც  $\tau_c = 2T / \ln K$ . ანალოგიურად:

$$\langle\langle \exp im\Psi(t_2, t_1) \rangle\rangle = \langle\langle \exp(im(\theta(t_1) - \theta(t_2))) \rangle\rangle \approx \approx \exp(-(t_1 - t_2) / \tau_c) \exp(-im\omega(t_1 - t_2)). \quad (1.119)$$

თუ ჩავსვავთ (1.118)-ს და (1.119)-ს (1.116)-ში, შემოვიტანთ ახალ ცვლადს  $\tau = t_1 - t_2$  და გავაწარმოებთ  $t$ -თი მივიღებთ:

$$\frac{\partial F}{\partial t} = -i\varepsilon \exp(-t / \tau_c) \sum_m e^{-im\omega t} \langle 0 | \hat{L}_1 | m \rangle f_m(I, 0) - \quad (1.120)$$

$$- (-i\varepsilon)^2 \sum_m \sum_p \int_0^t d\tau e^{-\tau/\tau_c - i(m\omega - p\Omega)\tau} \langle 0 | \hat{L}_{1p} | m \rangle \langle m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle f_0(I, 0).$$

(1.120)-დან ჩანს რომ როცა  $t \gg \tau_c$ , პირველი წევრი ექპონენციალურად ეცემა, ეს იმას იმნავს რომ სისტემა ივიწყებს თავისი საწყისი პირობების შესახებ ინფორმაციას, რომელსაც შეიცავდნენ  $f_m(I, 0)$  წევრები. ამიტომ თუ გადავალთ ზღვარზე  $t \rightarrow \infty$ , და  $f_0(s_z, 0)$ -ს შევცვლით  $F(s_z, t)$ -თი მივიღებთ:

$$\frac{\partial F}{\partial t} = (-i\varepsilon)^2 \lim_{t \rightarrow \infty} \sum_m \sum_p \int_0^t d\tau e^{-\tau/\tau_c - i(m\omega - p\Omega)\tau} \langle 0 | \hat{L}_{1p} | m \rangle \langle m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle F. \quad (1.121)$$

თუ ჩავატარებთ ინტეგრირებას, (რეზონანსობის პირობა  $m\omega - p\Omega \approx 0$  ნიშნავს რომ (1.121) გამოსახულებაში ორმაგი ჯამიდან ხდება იმ წევრების ამორჩევა რომლებშიც  $m$ -ის და  $p$ -ს ნიშნები ერთნაირია) და გავითვალისწინებთ აგრეთვე რომ  $\langle 0 | \hat{L}_{1-p} | -m \rangle = \langle m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle$ ,  $\langle -m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle = \langle 0 | \hat{L}_{1p} | m \rangle$  მივიღებთ:

$$\frac{\partial F}{\partial t} = -2\varepsilon^2 \sum_{m>0} \sum_{p>0} \frac{(1/\tau_c) \langle 0 | \hat{L}_{1p} | m \rangle \langle m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle F}{(1/\tau_c)^2 + (m\omega - p\Omega)^2}. \quad (1.122)$$

დავთვალოთ ახლა  $\langle 0 | \hat{L}_{1p} | m \rangle \langle m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle$  სიდიდე:

გავითვალისწინოთ რომ  $\hat{L}_1 = \sum_p L_{1p} \exp(ip\Omega t)$ ,  $L_{1p} = \frac{\Omega}{2\pi} \int_{-T/2}^{T/2} \hat{L}_1(t) e^{-ip\Omega t} dt$ ,

$$\langle n | \hat{L}_1 | m \rangle = \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta e^{-in\theta} \hat{L}_1 e^{im\theta}, \quad \hat{L}_1 = -i \left( \frac{\partial V}{\partial I} \frac{\partial}{\partial \varphi} - \frac{\partial V}{\partial \varphi} \frac{\partial}{\partial I} \right), \quad (1.123)$$

$$V(I, \varphi, t) = V(I, \varphi) T \sum_{k=-\infty}^{+\infty} \delta(t - kT), \quad V(I, \varphi) = \sum_n V_n(s_z) e^{in\varphi}, \quad V_n = V_{-n}^*.$$

მაშინ მივიღებთ:

$$\begin{aligned} \langle 0 | L_{1p} | m \rangle &= \frac{\Omega}{2\pi} \int_{-T/2}^{T/2} \langle 0 | \hat{L}_1(t) | m \rangle e^{-ip\Omega t} = \frac{\Omega}{2\pi} \frac{1}{2\pi} \int_{-T/2}^{T/2} dt \int_0^{2\pi} d\theta L_1(t) e^{im\theta} e^{-ip\Omega t} = \\ &= -i \frac{1}{2\pi} \sum_{k=-\infty}^{+\infty} \int_{-T/2}^{T/2} dt \int_0^{2\pi} d\theta \left( \frac{\partial V(I, \theta)}{\partial I} \frac{\partial}{\partial \theta} - \frac{\partial V(I, \theta)}{\partial \theta} \frac{\partial}{\partial I} \right) e^{im\theta} e^{-ip\Omega t} \delta(t - kT) = \\ &= -i \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta \sum_n \left( \frac{\partial V_n(I)}{\partial I} e^{in\theta} \frac{\partial}{\partial \theta} - V_n(I) (in) e^{in\theta} \frac{\partial}{\partial I} \right) e^{im\theta} = \\ &= m \left( \frac{\partial V_{-m}(I)}{\partial I} + V_{-m} \frac{\partial}{\partial I} \right) \end{aligned} \quad (1.124)$$

ანალოგიურად:

$$\begin{aligned} \langle m | L_{1-p} | 0 \rangle &= \frac{\Omega}{2\pi} \int_{-T/2}^{T/2} \langle m | \hat{L}_1(t) | 0 \rangle e^{ip\Omega t} = \frac{\Omega}{2\pi} \frac{1}{2\pi} \int_{-T/2}^{T/2} dt \int_0^{2\pi} d\theta e^{-im\theta} \hat{L}_1(t) e^{ip\Omega t} = \\ &= -i \frac{\Omega}{2\pi} \frac{T}{2\pi} \sum_{k=-\infty}^{+\infty} \int_{-T/2}^{T/2} dt \int_0^{2\pi} d\theta e^{-im\theta} \left( \frac{\partial V(I, \theta)}{\partial I} \frac{\partial}{\partial \theta} - \frac{\partial V(I, \theta)}{\partial \theta} \frac{\partial}{\partial I} \right) e^{ip\Omega t} \delta(t - kT) = \\ &= -i \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\theta \sum_n e^{-im\theta} \left( \frac{\partial V_n(I)}{\partial I} e^{in\theta} \frac{\partial}{\partial \theta} - V_n(I) (in) e^{in\theta} \frac{\partial}{\partial I} \right) = -m V_m(I) \frac{\partial}{\partial I} = \\ &= -m V_m(I) \frac{\partial}{\partial I}. \end{aligned} \quad (1.125)$$

(1.124) და (1.125) გამოსახელებების გაერთიანებით მივიღებთ:

$$\begin{aligned} \langle 0 | \hat{L}_{1p} | m \rangle \langle m | \hat{L}_{1-p} | 0 \rangle &= -m^2 \left( \frac{\partial V_{-m}(I)}{\partial I} + V_{-m} \frac{\partial}{\partial I} \right) \cdot \left( V_m(I) \frac{\partial}{\partial I} \right) = \\ &= -m^2 \left( \frac{\partial}{\partial I} |V_m|^2 \frac{\partial}{\partial I} \right) \end{aligned} \quad (1.126)$$

(1.126)-ის (1.122)-ში ჩასმა მოგვცემს:

$$\frac{\partial F}{\partial t} = 2\epsilon^2 \frac{\partial}{\partial I} \sum_{m>0} \sum_{p>0} \frac{(1/\tau_c) m^2 |V_m|^2}{(1/\tau_c)^2 + (m\omega - p\Omega)^2} \frac{\partial F}{\partial I}. \quad (1.127)$$

საბოლოოდ ვღებულობთ შემდეგი სახის კინეტიკურ განტოლებას:

$$\frac{\partial F}{\partial t} = \frac{\partial}{\partial I} D(I) \frac{\partial F}{\partial I}. \quad (1.128)$$

სადაც:

$$D(I) = 2\varepsilon^2 \sum_{m>0} \sum_{p>0} \frac{(1/\tau_c)m^2 |V_m|^2}{(1/\tau_c)^2 + (m\omega - p\Omega)^2} \quad (1.129)$$

კოეფიციენტს დიფუზიის კოეფიციენტი ეწოდება.

როცა  $\frac{1}{\tau_c \Omega} \rightarrow 0$ , მაშინ  $\frac{(1/\tau_c)\pi}{(1/\tau_c)^2 + (m\omega - p\Omega)^2} \rightarrow \delta(m\omega - p\Omega)$ ,

მაშინ ვღებულობთ:

$$\begin{aligned} 2\varepsilon^2 \pi \sum_{m>0} \sum_{p>0} \frac{(1/\tau_c)m^2 |V_m|^2}{(1/\tau_c)^2 + (m\omega - p\Omega)^2} = \\ = \varepsilon^2 \pi \sum_m \int dp \Omega \cdot \delta(m\omega - p\Omega) \frac{m^2 |V_m|^2}{\Omega} = \varepsilon^2 \pi \sum_{m>0} \frac{m^2 |V_m|^2}{\Omega} = \frac{\varepsilon^2 \pi}{2} \sum_m \frac{m^2 |V_m|^2}{\Omega} \end{aligned} \quad (1.130)$$

ამრიგად დიფუზიის კოეფიციენტი იღებს სახეს:

$$D(I) = \frac{\pi \varepsilon^2}{2} \sum_m \frac{m^2 |V_m|^2}{\Omega} \quad (1.131)$$

მაგალითად როდესაც პოტენციალი  $V = V_0 \cos \theta = \frac{V_0}{2}(e^{i\theta} + e^{-i\theta})$ , მაშინ

$$V_{-1} = V_1 = \frac{V_0}{2} \text{ და დიფუზიის კოეფიციენტი მიიღებს სახეს: } D(I) = \frac{\pi \varepsilon^2 V_0^2}{4\Omega}.$$


(1.128) კინეტიკური განტოლების ამოხსნა ზოგადად შეუძლებელია. მაგრამ კერძო შემთხვევებში შესაძლებელია ვიპოვოთ სტაციონარული განაწილების ფუნქცია ანდა გამოვიკვლიოთ განაწილების ფუნქციის მომენტები.

ბოლოს მოვიყვანოთ რიცხვითი ექსპერიმენტები სტანდარტული ასახვისათვის:


$$\begin{cases} \theta_{n+1} = \theta_n + I_{n+1} \\ I_{n+1} = I_n - K \sin \theta_n \end{cases} \quad (1.132)$$

სისტემის ფაზური პორტრეტი სხვადასხვა  $K$  -ს დროს მოყვანილია ნახ.1.18-ზე.


როცა  $K = 0.1$ , მოძრაობას აქვს რეგულარული ხასიათი.  $K$ -ს გაზრდის სისტემაში ხდება ჯერადი რეზონანსების გაჩენა. როდესაც  $K = 0.9$  ხდება მთავარი სეპარატრისის დაშლა და მის ადგილას სტოხასტური ფენის გაჩენა.  $K$ -ს კიდევ უფრო გაზრდით ხდება რეზონანსების გადაფარვა და წარმოიქმნება სტოხასტური ზღვა.




ა)



ბ)



გ)



დ)

ნახ. 1.18 ა) სტანდარტული ასახვის ფაზური პორტრეტი როცა  $K = 0.1$ . როგორც ამ სურათიდან ჩანს სისტემაში შესაძლებელია ორი ტიპის მოძრაობა რხევითი და ბრუნვითი, რომლებიც ერთმანეთისაგან არის გაყოფილი სეპარატრისით.  $\theta = 0, 2\pi, 4\pi \dots$  წერტილები წარმოადგენენ ჰიპერბოლური ტიპის უძრავ წერტილებს, ხოლო  $\theta = \pi, 3\pi \dots$  წერტილები წარმოადგენენ ელიფსური ტიპის უძრავ წერტილებს. ბ) სტანდარტულ ასახვის ფაზური პორტრეტი როცა  $K = 0.6$ . ამ დროს სისტემაში ხდება რეზონანსები გაჩენა რაც გამოიხატება ნახაზზე ახალი ჰიპერბოლური და ელიფსური ტიპის წერტილების გაჩენით. გ) სტანდარტულ ასახვის ფაზური პორტრეტი როცა  $K = 0.9$ . ამ დროს მთავარი საპარატრისა დაშლილია და მის ადგილას წარმოიქმნა სტოხასტური ფენა. მთავარი სტოხასტური ფენის შიგნით გვაქვს ინვარიანტული მრუდები რომლებიც განლაგდებიან ელიფსური ტიპის უძრავი წერტილების გარშემო, ხოლო მის გარეთ გვაქვს სეპარატრისული უჯრედების სიმრავლე უფრო ვიწრო სტოხასტური ფენებით. სხვადასხვა სტოხასტური ფენები ერთმანეთისაგან არიან განცალკევებული ინვარიანტული მრუდებით კამ-თეორიის თანახმად. დ) სტანდარტულ ასახვის ფაზური პორტრეტი როცა  $K = 1.2$ . ამ დროს ხდება რეზონანსების გადაფარვა და წარმოიქმნება ეგრეთ წოდებული სტოხასტური ზღვა. ნახაზზე კარგად ჩანს მდგრადობის კუნძულები სტოხასტურ ზღვაში.



## 2. თავი ქაოსი არაწრფივ ბლოხის სისტემაში [42]

ბოლო წლებში მიმდინარეობს არაწრფივი ეფექტების კვლევა ბირთვული მაგნიტური მომენტების სისტემაში, განპირობებული რეზონატორის (რხევითი კონტურის) ზემოქმედებით ბირთვული დამაგნიტების დინამიკაზე [43-46]. დავუშვათ ნიმუში მოთავსებული გვაქვს რხევით კონტურში. ბირთვული დამაგნიტების პრეცესიის გამო რხევით კონტურს განჭოლავს ცვლადი მაგნიტური ნაკადი. მაგნიტური ინდუქციის კანონის თანახმად ეს იწვევს ინდუქციური მაგნიტური ველის გაჩენას, რომელიც თავის მხრივ, მოქმედებს ბირთვული დამაგნიტების დინამიკაზე. რხევით კონტურებში ასეთი უკუკავშირის შესახებ დეტალურად არის აღწერილი მონიგრაფიებში [47-48]. ასეთი უკუკავშირის გამო, განტოლებები რომლებიც აღწერენ ბირთვული დამაგნიტების დინამიკას (ბლოხის განტოლებები) არის არაწრფივი. არაწრფივობა თავის მხრივ შეიძლება გახდეს დინამიური ქაოსის გაჩენის მიზეზი [3,12, 29-30] ბირთვულ სპინურ სისტემაში. ადრე შესწავლილი იყო ბირთვული სპინური ექოს გაძლიერება მაგნეტიკებში [49], ბირთვული მაგნიტური მომენტების რადიოსიხშირული ზეგამოსხივება გამოწვეული რეზონატორული ეფექტებით [50-52].

ჩვენს მიერ შესწავლილი იყო ბირთვული დამაგნიტების დინამიკა, როდესაც სისტემაზე ერთდროულად მოქმედებს  $Z$  ღერძის გასწვრივ მიმართული მუდმივი მაგნიტური ველი,  $X$  ღერძის გასწვრივ მიმართული რადიოსიხშირული (რს) ველი  $\omega$  სიხშირით და  $H_1$  ამპლიტუდით და თვითონ  $\vec{M}$  დამაგნიტების მიერ

შექმნილი ველი  $H_M = \frac{\eta M^+}{\gamma_n} e^{i\varphi}$  [53]. აქ  $M^+ = M_x + iM_y$ ,  $\gamma_n$  გირომაგნიტური

თანაფარდობა ბირთვებისათვის,  $\varphi$  დამაგნიტების მიერ აღძრული ველის ფაზაა,  $\eta$ - რხევითი კონტურის პარამეტრებით განსაზღვრული კოეფიციენტი:

$\eta = 2\pi\omega\eta_0\gamma_n \frac{L}{R}$ , სადაც  $L$ -კოჭის ინდუქტივობაა,  $R$ -წინაღობა,  $\eta_0 = \frac{A_s}{A_c}$  ნიმუშის

მიერ კოჭის შევსების კოეფიციენტი,  $A_s$  ნიმუშის კვეთის ფართობია,  $A_c$  კოჭის კვეთის ფართობი.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბლოხის განტოლებებს [54], რომლებიც აღწერენ ბირთვული დამაგნიტების დინამიკას აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{cases} \dot{M}_x = \delta M_y + \eta M_z (M_x \sin \varphi - M_y \cos \varphi) - \frac{M_x}{T_2} \\ \dot{M}_y = -\delta M_x - \omega_1 M_z + \eta M_z (M_x \cos \varphi + M_y \sin \varphi) - \frac{M_y}{T_2} \\ \dot{M}_z = -\omega_1 m_y - \eta \sin \varphi (M_x^2 + M_y^2) - \frac{M_z - M_0}{T_1} \end{cases} \quad (2.1)$$

სადაც  $\delta = \omega - \omega_0$  არის ბირთვული მაგნიტურ რეზონანსის (ბმრ) სიხშირესა და ცვლადი რადიოსიხშირული ველის სიხშირეს  $\omega$  შორის სხვაობა,  $T_1$  და  $T_2$  ბირთვული დამაგნიტების გასწვრივი და განივი მდგენელების რელაქსაციის დროებია,  $\omega_1 = H_1 \gamma_n$  - რადიოსიხშირული ველის ამპლიტუდაა სიხშირულ ერთეულებში.

გადავიდეთ უგანზომილებო ცვლადებზე:

$$t \rightarrow \omega_1 t, \quad \frac{\eta M_0}{\omega_1} = \gamma, \quad \delta \rightarrow \frac{\delta}{\omega_1}, \quad T_{1,2} \rightarrow \omega_1 T_{1,2} \rightarrow \Gamma_{1,2}$$

$$M_x \rightarrow \frac{M_x}{M_0} = x, M_y \rightarrow \frac{M_y}{M_0} = y, M_z \rightarrow \frac{M_z}{M_0} = z, M_0 = |\vec{M}(0)|$$

ახალ ცვლადებში (2.1) განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\begin{cases} \dot{x} = \delta y + \gamma z(\alpha x - y\beta) - \frac{x}{\Gamma} \\ \dot{y} = -\delta x - \frac{y}{\Gamma} - z + \gamma z(\beta x + \alpha y) \\ \dot{z} = y - \frac{z}{\Gamma} + \frac{1}{\Gamma} - \gamma\alpha(x^2 + y^2) \end{cases} \quad (2.2)$$

სადაც შემოტანილია აღნიშვნა  $\alpha = \sin \varphi$ ,  $\beta = \cos \varphi$ . გარდა ამისა გააკეთებულია დაშვება რომ განივი და გასწვრივი რელაქსაციის დროები ერთი და იგივე რიგის სიდიდეებია  $\Gamma_1 \cong \Gamma_2 \cong \Gamma$ . ასეთი დაშვება სამართლიანია სითხეებისათვის.

(2.2) განტოლებათა სისტემის ანალიზისათვის ჩვენ განვიხილეთ სუსტი და ძლიერი არაწრფივობის შემთხვევა და ვაჩვენეთ რომ არსებობს კოეფიციენტი  $\gamma_c$  რომელიც სისტემის პარამეტრებზეა დამოკიდებული. როცა  $\gamma < \gamma_c$  გვაქვს სუსტი არაწრფივობა და (2.2) სისტემა შეგვიძლია ამოვხსნათ ანალიზურად შემფოტების თეორიის გამოყენებით. მიღებული ამონახსნები კარგ თანხვედრაში არიან (2.2) სისტემის რიცხვით ამონახსნებთან. მეორე ზღვრულ შემთხვევაში როცა  $\gamma > \gamma_c$  სისტემაში შეიძლება წარმოიქმნას დინამური ქაოსი და გაჩნდეს უცნაური ატრაქტორი.

განვიხილოთ ჯერ სუსტი არაწრფივობის შემთხვევა. იმისათვის რომ გამოვიყენოთ შემფოტების თეორია (2.2) სისტემისათვის ეს სისტემა უნდა დავიყვანოთ კანონიკურ სახეზე [55].

თუ გამოვიყენებთ სტანდარტულ მეთოდებს [56], შეიძლება იმის ჩვენება, რომ გარდაქმნას, რომელსაც (2.2) სისტემა დაჰყავს კანონიკურ სახეზე აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{cases} \dot{x}_1 = 2\delta x + 2z \\ \dot{y}_1 = -2\lambda y \\ \dot{z}_1 = -\frac{1}{\delta}x + z \end{cases} \quad (2.3)$$

სადაც  $\lambda = \sqrt{1 + \delta^2}$

(2.2) განტოლებები (2.3) ახალ ცვლადებში იღებენ შემდეგ სახეს:

$$\begin{cases} \dot{x}_1 = -\frac{1}{\Gamma}x_1 - \lambda y_1 + \frac{\beta\gamma\delta}{2\lambda^3}x_1y_1 + \frac{\beta\gamma\delta^3}{\lambda^3}y_1z_1 - \frac{\alpha\gamma}{2\lambda^2}y_1^2 + \frac{\alpha\gamma\delta^2}{\lambda^2}x_1z_1 - \frac{2\alpha\gamma\delta^2}{\lambda^2}z_1^2 \\ \dot{y}_1 = \lambda x_1 - \frac{y_1}{\Gamma} - \frac{\beta\gamma\delta}{2\lambda^3}x_1^2 + \frac{\beta\gamma\delta}{\lambda^3}x_1z_1 - \frac{\beta\gamma\delta^3}{\lambda^3}x_1z_1 + \frac{2\beta\gamma\delta^3}{\lambda^3}z_1^2 + \frac{\alpha\gamma}{2\lambda^2}x_1y_1 + \frac{\alpha\gamma\delta^2}{\lambda^2}y_1z_1 \\ \dot{z}_1 = -\frac{z_1}{\Gamma} - \frac{\beta\gamma}{4\delta\lambda^3}x_1y_1 - \frac{\beta\gamma\delta}{2\lambda^3}y_1z_1 - \frac{\alpha\gamma}{4\lambda^2}x_1^2 - \frac{\gamma\alpha}{4\lambda^2}y_1^2 + \frac{\gamma\alpha}{2\lambda^2}x_1z_1 + \frac{1}{\Gamma} \end{cases} \quad (2.4)$$

აქ  $\lambda = \sqrt{1 + \delta^2}$

თუ უგულებელვყოფთ რელაქსაციურ პროცესებს ( ე.ი. განვიხილავთ (2.4) განტოლებათა სისტემის ამოხსნებს დროის შუალედებში, რომლებიც ნაკლებია რელაქსაციის დროებზე  $t < T_{1,2}$ ), მაშინ შეიძლება მივიღოთ პერიოდული ამოხსნები.

შემოვიღოთ ამისათვის ახალი დროითი მასშტაბი:

$$t = \frac{\tau}{\lambda}(1 + h_2 c^2 + h_3 c^3 + \dots) \quad (2.5)$$

სადაც  $h_k$  კოეფიციენტები განისაზღვრებიან (2.4) განტოლებათა სისტემის ამონახსნის პერიოდულობიდან [55]:

$$h_{k-1} = \frac{1}{2\pi\lambda} \int_0^{2\pi} \{x_1^{(k)}(\tau) \sin(\tau) - y_1^{(k)}(\tau) \cos(\tau)\} d\tau \quad (2.6)$$

ამონახსნები (2.4) სისტემისა ვეძებთ შემდეგი მწკრივის სახით:

$$\begin{aligned} x_1 &= \sum_{k=1}^{\infty} c^k x_1^{(k)} \\ y_1 &= \sum_{k=1}^{\infty} c^k y_1^{(k)} \\ z_1 &= \sum_{k=1}^{\infty} c^k z_1^{(k)} \end{aligned} \quad (2.7)$$

თუ ჩავსვავთ (2.5)-ს და (2.6)-ს (2.4) განტოლებათა სისტემაში და გამოვიყენებთ ამონახსნების პერიოდულობის (2.6) პირობას, მაშინ მივიღებთ შემოფოტების პირველ მეორე და მესამე რიგში (2.2) განტოლებათა სისტემის შემდეგ ამონახსნებს,  $x_1 = c$ ,  $y_1 = 0$ ,  $z_1(0) = z_1(2\pi)$  საწყისი პირობებით:

$$x^{(1)}(\tau) = \frac{\delta \cos(\tau)}{2\lambda^2}, \quad y^{(1)} = -\frac{\sin(\tau)}{2\lambda}, \quad z^{(1)}(\tau) = \frac{\cos(\tau)}{2\lambda^2} \quad (2.8)$$

$$\begin{cases} x^{(2)}(\tau) = \frac{\gamma\delta(-\beta \cos 2\tau + 4 \sin \tau(\alpha\lambda(\cos \tau - 1) + \beta\delta \sin \tau))}{16\lambda^6}, \\ y^{(2)}(\tau) = -\frac{(\alpha\gamma\lambda \cos \tau - \alpha\gamma\lambda \cos^2 \tau - \beta\gamma\delta \cos \tau \sin \tau)}{4\lambda^5}, \\ z^{(2)}(\tau) = \frac{\gamma(-\beta\delta^2 \cos 2\tau + 4 \sin \tau(\alpha\lambda(\cos \tau - 1) + \beta\delta \sin \tau))}{16\lambda^6}, \end{cases} \quad (2.9)$$

$$\begin{aligned}
x^{(3)}(\tau) &= \left( -\frac{\beta^2 \gamma^2 \delta}{16\lambda^{10}} + \frac{9\beta^2 \gamma^2 \delta^2}{512\lambda^{10}} - \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^3}{32\lambda^{10}} + \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^4}{256\lambda^{10}} - \frac{3\alpha^2 \gamma^2 \delta}{32\lambda^8} \right) \cos \tau + \frac{\alpha^2 \gamma^2 \cos 2\tau}{8\lambda^8} + \\
&\left( \frac{\beta^2 \gamma^2 \delta}{48\lambda^{10}} - \frac{11\beta^2 \gamma^2 \delta^2}{153\lambda^{10}} + \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^3}{32\lambda^{10}} - \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^4}{256\lambda^{10}} - \frac{\alpha^2 \gamma^2 \delta}{32\lambda^8} \right) \cos 3\tau + \\
&+ \left( -\frac{\alpha\beta\gamma^2}{4\lambda^9} - \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta}{64\lambda^9} - \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta^2}{16\lambda^9} - \frac{3\alpha\beta\gamma^2 \delta^3}{128\lambda^9} \right) \sin \tau + \\
&+ \left( \frac{\alpha\beta\gamma^2}{16\lambda^9} + \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta^2}{8\lambda^9} \right) \sin 2\tau + \left( -\frac{\alpha\beta\gamma^2}{48\lambda^9} - \frac{\alpha\beta\gamma^2}{192\lambda^9} - \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta^2}{16\lambda^9} + \frac{3\alpha\beta\gamma^2 \delta^3}{128\lambda^9} \right) \sin 3\tau \\
y^{(3)}(\tau) &= \left( -\frac{\alpha\beta\gamma^2 \delta}{16\lambda^8} - \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta^2}{128\lambda^8} \right) \cos \tau - \frac{\alpha^2 \gamma^2 \cos 2\tau}{8\lambda^8} + \left( -\frac{\alpha\beta\gamma^2 \delta}{16\lambda^8} + \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta^2}{128\lambda^8} \right) \cos 3\tau + \\
&+ \left( -\frac{13\beta^2 \gamma^2 \delta}{512\lambda^9} + \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^2}{32\lambda^9} + \frac{7\beta^2 \gamma^2 \delta^3}{256\lambda^9} + \frac{\alpha^2 \gamma^2}{32\lambda^7} \right) \sin \tau - \frac{\alpha^2 \gamma^2}{8\lambda^7} \sin 2\tau + \\
&\left( \frac{3\beta^2 \gamma^2 \delta}{512\lambda^9} - \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^2}{32\lambda^9} - \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^3}{256\lambda^9} + \frac{\alpha^2 \gamma^2}{32\lambda^7} \right) \sin 3\tau \\
z^{(3)}(\tau) &= \left( \frac{\beta^2 \gamma^2 \delta}{16\lambda^{10}} + \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^2}{32\lambda^{10}} - \frac{3\beta^2 \gamma^2 \delta^3}{256\lambda^{10}} - \frac{3\alpha^2 \gamma^2}{32\lambda^8} \right) \cos \tau + \frac{\alpha^2 \gamma^2 \cos 2\tau}{8\lambda^8} + \\
&\left( -\frac{\beta^2 \gamma^2 \delta}{512\lambda^{10}} + \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^2}{96\lambda^{10}} + \frac{\beta^2 \gamma^2 \delta^3}{768\lambda^{10}} - \frac{\alpha^2 \gamma^2}{32\lambda^8} \right) \cos 3\tau + \left( \frac{7\alpha\beta\gamma^2 \delta}{48\lambda^9} + \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta^2}{192\lambda^9} \right) \sin \tau + \\
&+ \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta}{16\lambda^9} \sin 2\tau + \frac{\alpha\beta\gamma^2 \delta}{16\lambda^9} \sin 2\tau + \left( -\frac{\alpha\beta\gamma^2 \delta}{18\lambda^9} + \frac{5\alpha\beta\gamma^2 \delta^2}{192\lambda^9} \right) \sin \tau \cos 2\tau
\end{aligned} \tag{2.10}$$

შევუდგეთ მიღებული განტოლებების ანალიზს. თუ გავითვალისწინებთ იმას რომ,  $\lambda = \sqrt{1 + \delta^2} > |\delta|$  და  $|\alpha| \leq 1$ ,  $|\beta| \leq 1$  შეშფოთების თეორიის გამოყენების პირობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{|x^{(2)}(\tau)|_{\max}}{|x^{(1)}(\tau)|_{\max}} \sim \frac{|y^{(2)}(\tau)|_{\max}}{|y^{(1)}(\tau)|_{\max}} \sim \frac{|z^{(2)}(\tau)|_{\max}}{|z^{(1)}(\tau)|_{\max}} < \frac{5}{4} \frac{\gamma}{\lambda^3} < 1, \tag{2.11a}$$

$$\frac{|x^{(3)}(\tau)|_{\max}}{|x^{(2)}(\tau)|_{\max}} \sim \frac{|y^{(3)}(\tau)|_{\max}}{|y^{(2)}(\tau)|_{\max}} \sim \frac{|z^{(3)}(\tau)|_{\max}}{|z^{(2)}(\tau)|_{\max}} < \frac{4}{5} \frac{\gamma}{\lambda^2} < 1. \tag{2.11b}$$

თუ გავითვალისწინებთ იმას რომ  $\gamma = \frac{\eta M_0}{\omega_1}$  და  $\delta = \frac{\omega - \omega_0}{\omega_1}$ , (2.11) ფორმულების დახმარებით შეგვიძლია მივიღოთ კრიტიკული მნიშვნელობა:

$$\gamma_c = \frac{5}{4} \left( 1 + \left( \frac{\omega - \omega_0}{\omega_1} \right)^2 \right). \tag{2.12}$$

როგორც (2.12) ფორმულიდან ჩანს არაწრფივობის პარამეტრის კრიტიკული მნიშვნელობა ცალსახად განისაზღვრება  $\omega - \omega_0$  სხვაობით და ცვლადი ველის ამპლიტუდით. ამ პარამეტრების ვარირებით შეგვიძლია მივადწიოთ გადასვლას ბირთვული დამაგნიტების რეგულარული დინამიკიდან:

$$\gamma < \gamma_c, \quad \omega_1 + \frac{(\omega - \omega_0)^2}{\omega_1} > \frac{4}{5} \eta M_0 \tag{2.13}$$


ქაოსური დინამიკის არეში:

$$\gamma > \gamma_c, \omega_1 + \frac{(\omega - \omega_0)^2}{\omega_1} < \frac{4}{5} \eta M_0. \quad (2.14)$$

(2.14) უტოლობიდან მარტივი გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ:

$$\left(\omega_1 - \frac{2}{5} \eta M_0\right)^2 + (\omega - \omega_0)^2 < \left(\frac{2}{5} \eta M_0\right)^2 \quad (2.15)$$

ეს უტოლობა განსაზღვრავს  $\omega_1$  და  $\omega$  პარამეტრების იმ მნიშვნელობებს სადაც უნდა ველოდოთ დინამიური ქაოსის გამოვლინებას.  $\omega_1$  და  $\omega$ -თვის ეს არე წარმოადგენს წრეს (ნახ.2.1)



ნახ. 2.1 ძლიერი ანჰარმონიზმის არე  $(\omega_1; \omega)$  პარამეტრების სიბრტყეში წარმოდგენილია  $2\eta M_0/5$  რადიუსის წრით, რომლის ცენტრი განლაგებულია წერტილში  $(2\eta M_0/5; \omega_0)$ . დაშრტიხული არე განსაზღვრავს ცვლადი ველის პარამეტრების იმ მნიშვნელობებს რომლის დროსაც შესაძლებელია ქაოსის გამოვლინება. გრაფიკი აგებულია (2.15) ფორმულის თანახმად პარამეტრების შემდეგი მნიშვნელობებისათვის  $\eta M_0 = 10^6$  ჰც და  $\omega_0 = 10^8$  ჰც.

მიღებული შედეგი საჭიროებს ახსნას. თუ გავიხსენებთ, რომ  $\gamma = \frac{\eta M_0}{\omega_1}$ , შეიძლება


ვიფიქროთ, რომ ცვლადი ველის ამპლიტუდის  $\omega_1$  შემცირებით შეგვიძლია მივალწიოთ  $\gamma$ -ს მნიშვნელობის გაზრდას და ამრიგად დინამიური ქაოსის წარმოქმნისათვის საჭირო პირობების შექმნას. მეორეს მხრივ თუ არ გვექნება ცვლადი ველი არავითარ ქაოსზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამ შეუსაბამობაზე პასუხი არის ის, რომ ცვლადი ველის ამპლიტუდის უბრალო შემცირებით შეუძლებელია მივალწიოთ  $\gamma > \gamma_c$  პირობის შესრულებას ( $\omega_1$  შემცირებით იზრდება  $\gamma_c$  ფორმულა (2.12)). ქაოსის მისაღწევად საჭიროა ცვლადი ველის პარამეტრების ისეთი შერჩევა, რომელიც უზრუნველყოფს ნახ.2.1 დაშტრიხულ არეში მოხვედრას.

(2.15) პირობა წარმოადგენს ქაოსის აღძვრის აუცილებელ მაგრამ არა საკმარის პირობას.  $\gamma$ -ს უფრო ზუსტი მნიშვნელობები, რომლის დროსაც სისტემაში წარმოიქმნება ქაოსი, შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ რიცხვითი მეთოდების გამოყენებით.

(2.13) პირობა ადებს განსახილველი ამოცანის ფიზიკურ პარამეტრებს გარკვეულ პირობებს. თუ გამოვიყენებთ შეფასებას  $\eta M_0 \sim 10^6$  ჰც [53], რს ველის ამპლიტუდისათვის და ბმრ და რს სიხშირეების სხვაობისათვის მივიღებთ:

$$\omega_1 = 3.3 \cdot 10^5 \text{ ჰც}, |\omega - \omega_0| > 0.47 \cdot 10^6 \text{ ჰც} \quad (2.16)$$

(2.16) პირობის შესრულების დროს ე.ი. რს ველის ამპლიტუდისა და მზრ და რს სიხშირეების სხვაობის დიდი მნიშვნელობის დროს ბირთვული დამაგნიტების სისტემაში ხორციელდება რეგულარული, პერიოდული მოძრაობა. ამას ადასტურებს ისიც რომ ჩვენს მიერ მიღებული ანალიზური ამოსხნები კარგად ემთხვევა (2.2) სისტემის რიცხვითი ინტეგრირებისას მიღებულ შედეგებს (ნახ.2.2)



ნახ. 2.2. ბირთვული დამაგნიტების განივი მდგენელის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკი მიღებულია (2.8-2.10) ფორმულების გამოყენებით და (2.2) განტოლებათა სისტემის რიცხვითი ინტეგრირებით პარამეტრების შემდეგი მნიშვნელობების დროს:  $\omega_0 = 10^8$  ჰც,  $\omega_1 = 1.1 \cdot 10^6$  ჰც,  $\delta = 1.26$ ,  $\eta M_0 = 10^6$  ჰც,  $c = 1$ ,

$\alpha = \beta = \frac{\sqrt{2}}{2}$ ,  $\gamma_c = 3.23$ ,  $\gamma = 0.9$ . უწყვეტი ხაზი შეესაბამება ანალიზურ ამოსხნას რომელიც მიღებულია შეშფოთების თეორიის მესამე რიგში:  $x_3(t) = x^{(1)}(t) + x^{(2)}(t) + x^{(3)}(t)$ . წყვეტილი ხაზი მიღებულია (2.2) სისტემის რიცხვითი ინტეგრირების შედეგად რელაქსაციური პროცესების გათვალისწინების გარეშე. რიცხვითი შედეგები მიღებულია MatLab 7.0 პროგრამული პაკეტის გამოყენებით.


როგორც ნახ.2.2-დან ჩანს ბირთვული დამაგნიტების განივი კომპონენტის დროზე დამოკიდებულება ატარებს ჰარმონიულ ხასიათს. მართლაც, თუ ჩავსვავთ მოცემულ პარამეტრების მნიშვნელობებს 2.8-2.10 ამოსხნებში დავინახავთ რომ ჯერადი სიხშირეების კოეფიციენტები მცირეა:

$$x_3(\tau) \sim 0.24 \cdot \cos(\tau) - 0.001 \cdot \cos(2\tau) - 0.0001 \cdot \cos(3\tau) - 0.001 \cdot \cos(0.5\tau) \cdot \sin^3(0.5\tau) + \\ + 0.007 \cdot \cos(0.5\tau) \cdot \cos(\tau) \cdot \sin^3(0.5\tau) - 0.02 \cdot \sin(\tau) + 0.01 \cdot \sin(2\tau) - \\ - 0.0003 \cdot \cos(2\tau) \cdot \sin(\tau) + 0.01 \cdot \sin^2(\tau). \quad (2.17)$$

ცვლადი ველის ამპლიტუდის შემცირებით  $\omega_1 = 1.4 \cdot 10^5$  ჰც, სიტუაცია იცვლება მაღალი ჰარმონიკების როლი ხდება მნიშვნელოვანი:

$$\begin{aligned}
 x_3(\tau) \sim & 0.16 \cdot \cos(\tau) - 0.06 \cdot \cos(2\tau) - 0.07 \cdot \cos(3\tau) - 0.08 \cdot \cos(0.5\tau) \cdot \sin^3(0.5\tau) + \\
 & + 0.45 \cdot \cos(0.5\tau) \cdot \cos(\tau) \cdot \sin^3(0.5\tau) - 0.24 \cdot \sin(\tau) + 0.09 \cdot \sin(2\tau) - \\
 & - 0.01 \cdot \cos(2\tau) \cdot \sin(\tau) + 0.11 \cdot \sin^2(\tau),
 \end{aligned}
 \tag{2.18}$$


ამიტომ ამონახსნის დროზე დამოკიდებულებას აქვს პოლიქრომატული ხასიათი (ნახ.2.3).




ნახ. 2.3. ბირთული დამაგნიტების განივი მდგენელის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკი მიღებულია (2.8-2.10) ფორმულების გამოყენებით და (2.2) განტოლებათა სისტემის რიცხვითი ინტეგრირებით პარამეტრების შემდეგი მნიშვნელობების დროს:  $\omega_0 = 10^8$  ჰც,  $\omega_1 = 1.42 \cdot 10^5$  ჰც,  $\delta = 1.26$ ,  $\eta M_0 = 10^6$  ჰც,  $c = 1$ ,

$\alpha = \beta = \frac{\sqrt{2}}{2}$ ,  $\gamma_c = 3$ ,  $\gamma = 7$ . უწყვეტი ხაზი შეესაბამება ანალიზურ ამონახსნს რომელიც მიღებულია შეშფოთების თეორიის მესამე რიგში:  $x_3(t) = x^{(1)}(t) + x^{(2)}(t) + x^{(3)}(t)$ . წყვეტილი ხაზი მიღებულია (2.2) სისტემის რიცხვითი ინტეგრირების შედეგად, რელაქსაციური პროცესების გათვალისწინების გარეშე. როგორც ნახაზიდან ჩანს ანჰარონიულობის მიუხედავად, რხევებს აქვს რეგულარული ხასიათი.

$\gamma$  პარამეტრის შემდგომი გაზრდით (ეს შემდეგი მიიღწევა რს ველის მცირე ამპლიტუდების დროს) სისტემაში შეიძლება აღიძვრას დინამიური სტოქასტიურობა. საბოლოოდ საჭირო ხდება გადავიდეთ სისტემის მექანიკური აღწერიდან სტოქასტიურზე. იმ პროცესების აღსაწერად რომელიც დინამიურ სისტემაში ხდება, უნდა შემოვიტანოთ სტატისტიკური ცნებები- კოლმოგოროვის ენტროპია [30], უცნაური ატრაქტორის ფრაქტალური განზომილება [3, 11, 15, 17, 18, 57-59]. ეს ცნებები, თავიანთი განსაზღვრის თანახმად არიან სტატისტიკური, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი სისტემის მექანიკურ მახასიათებლებთან, კონკრეტულად ფაზური ტრაექტორიების ლოკალურ არამდგრადობებთან. ჩვენი მიზანია სისტემის ფიზიკური პარამეტრების განსაზღვრა რომლის დროსაც (2.1) სისტემაში წარმოიქმნება უცნაური ატრაქტორი. როგორც რიცხვითი გამოთვლები გვიჩვენებენ (ნახ.2.4-2.5) ფიზიკური პარამეტრების ამ მნიშვნელობებს წარმოადგენს:  $\eta M_0 = 10^6$  ჰც,  $\omega_1 = 2.9 \cdot 10^4$  ჰც,  $\omega_0 = 10^8$  ჰც,  $\delta = -1.26$ ,  $T_1 = 1.72 \cdot 10^{-4}$  წმ,  $T_2 = 0.86 \cdot 10^{-4}$  წმ,  $\alpha = 0.172$ ,  $\beta = 0.98$ .



ნახ. 2.4 ბირთვული დამაგნიტების გასწვრივი მდგენელის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი, რომელიც მიღებულია (2.2) განტოლებათა სისტემის რიცხვითი ინტეგრირებით პარამეტრების იმ მნიშვნელობებისათვის რომელიც ტექსტში არის მოყვანილი. როგორც ნახაზიდან ჩანს, რხევას აქვს ქაოსური ხასიათი.



ნახ. 2.5 უცნაური არაქტორის ფაზური პორტრეტი. გრაფიკი მიღებულია (2.2) განტოლებათა სისტემის რიცხვითი ინტეგრირებით. გამუქებული არეები შეესაბამება, მიმზიდავ წერტილებს, რომელთა არსებობა უცნაური ატრაქტორისათვის არის დამახასიათებელი.

თუმცა უცნაური ატრაქტორის არსებობა ქაოსის დამადასტურებელი ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია, ქაოსის სრულად დადასტურებისათვის საჭიროა შევისწავლოთ ამონახსნის კორელაციური ფუნქციის თვისებები.

კოლმოგოროვის ენტროპიის განსასაზღვრავად ვისარგებლოთ კორელაციური ფუნქციის ფურიე სახით:


$$G_x(\tau) = \langle x(t+\tau)x(\tau) \rangle, \quad G_x = \int d\tau G_x(\tau) e^{i\omega\tau} = \frac{\tau_c}{1 + \omega^2 \tau_c^2} \quad (2.19)$$

სადაც  $\langle ( ) \rangle = \lim_{T \rightarrow \infty} \frac{1}{T} \int_0^T ( ) dt$  აღნიშნავს დროით საშუალოს,  $\tau_c$ -კორელაციის

დროა რომელიც დაკავშირებულია კოლმოგოროვის ენტროპიასთან შემდეგნაირად:  $h_0 \sim 1/\tau_c$ . (2.19)-ის გამოსათვლელათ ხელსაყრელია



ვისარგებლოთ სწრაფი ფურიე გარდაქმნის მეთოდით [60]. როგორც გვიჩვენებენ რიცხვითი გამოთვლები კორელაციის სიგრძე ტოლია  $\tau_c \sim 3 \cdot 10^{-6}$  წმ-ის. რიცხვითი გამოთვლების შედეგები მოყვანილია ნახ.2.6-ზე.



ნახ.2.6 კორელაციური ფუნქციის ფურიეს სახის  $\omega$  სიხშირეზე დამოკიდებულების გრაფიკი. ის ფაქტი რომ კორელაციური ფუნქციის ფურიე სახეს  $G(\omega)$ -ს აქვს სასრული სიგანე, დამადასტურებელია სისტემაში ქაოსის არსებობის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რხევითი პროცესი არ ხასიათდება მხოლოდ ერთი სიხშირით (პერიოდით). რხევით პროცესში ჩართულია ყველა სიხშირეები (პერიოდები), რომლებიც განლაგებულნი არიან სასრულ სიხშირულ ინტერვალში:  $\delta\omega \sim 1/\tau_c = 3$  მეგაჰერცი.

უცნაური ატრაქტორის ფრაქტალური განზომილების განსასაზღვად ვისარგებლოთ გრასბერგერ-პროკაჩიას ალგორითმით [57-59].

ალგორითმის არსი მდგომარეობს შემდეგში. დავუშვათ მოძრაობის დინამიკური განტოლებების ამოხსნებიდან მივიღეთ მდგომარეობათა ვექტორების კრებული  $\{\chi_i, i=1, 2, \dots, N\}$ , რომლებიც მიიღებიან დიფერენციალური განტოლებების ნაბიჯ-ნაბიჯ რიცხვითი ინტეგრირებისას. თუ შემოვიტანთ რაიმე მცირე  $\varepsilon$ -ს, შეგვიძლია გამოვიყენოთ მიღებული ვექტორების კრებული შემდეგი ჯამის შეფასებისათვის:

$$C(\varepsilon) = \lim_{N \rightarrow \infty} \frac{1}{N(N-1)} \sum_{i,j=1}^N \theta(\varepsilon - |\chi_i - \chi_j|) \quad (2.20)$$

სადაც  $\theta$ - ხევისაიდის საფეხუროვანი ფუნქციაა:

$$\theta(x) = \begin{cases} 0, & x < 0 \\ 1, & x \geq 0 \end{cases} \quad (2.21)$$


გრასბერგერ-პროკაჩიას ალგორითმის თანახმად, თუ ვიცით  $C(\varepsilon)$ , შეგვიძლია გამოვთვალოთ უცნაური ატრაქტორის ფრაქტალური განზომილება:

$$D = \lim_{\varepsilon \rightarrow 0} \frac{C(\varepsilon)}{\log \varepsilon} \quad (2.22)$$

თუ გამოვთვლით  $C(\varepsilon)$ -ს  $\varepsilon$ -ის სახეადასხვა მნიშვნელობებისათვის, მაშინ შეგვიძლია ავაგოთ  $\log(C(\varepsilon))$ -ის  $\log \varepsilon$ -ზე დამოკიდებულების გრაფიკი.

თუ დავუშვებთ, რომ  $C(\varepsilon) \sim \varepsilon^D$ , მაშინ მოცემულ გრაფიკს ექნება წრფის სახე  $D$  კუთხური კოეფიციენტით. რიცხვითი გამოთვლების შედეგები მოცემულია ნახ. 2.7-ზე.

ამრიგად შეგვიძლია ვთქვათ რომ, ბირთვული დამაგნიტების თავის თავთან ურთიერთქმედებას მიყვაროთ მოძრაობის განტოლებების არაწრფივობამდე, რომელიც შეიძლება გახდეს მიზეზი ბლოხის (2.1) სისტემაში დინამიური სტოხასტიურობის გამოვლინებისა. (2.15)-ის თანახმად ქაოსის გამოვლინების აუცილებელ პირობა განისაზღვრება რეზონატორის და გარე ცვლადი ველის პარამეტრებით.. ამ პარამეტრების შესაბამისი არჩევით (თუ შესრულდება რეზონანსის პირობა  $\omega \sim \omega_0$  და გარე ველის ამპლიტუდა  $\omega_1 \sim \eta M_0$ ) ხდება სისტემის ქაოტიზაცია. შედეგად ბირთვული დამაგნიტების სისტემაში წარმოიქმნება უცნაური ატრაქტორი. ატრაქტორის ფრაქტალური განზომილების გამოთვლილი მნიშვნელობა არ წარმოადგენს მთელ რიცხვს, რაც იმაზე მეტყველებს რომ სისტემაში გვაქვს ქაოსი.



ნახ.2.7.  $\log(C(\varepsilon))$ -ის  $\log \varepsilon$ - დამოკიდებულების გრაფიკი, რომელიც მიღებულია (2.2) განტოლებათა სისტემის ინტეგრირებით პარამეტრების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:  $\eta M_0 = 10^6$  ჰც,  $\omega_1 = 2.9 \cdot 10^4$  ჰც,  $\omega_0 = 10^8$  ჰც,  $\delta = 1.26$ ,  $T_1 = 1.72 \cdot 10^{-4}$  წმ,  $T_2 = 0.86 \cdot 10^{-4}$  წმ,  $\alpha = 0.172$ ,  $\beta = 0.98$ ,  $\gamma_c = 3.23$ . ამ გრაფიკიდან შეგვიძლია გამოვთვალოთ ატრაქტორის ფრაქტალური განზომილება ფორმულით:  $D = [\log(C(\varepsilon_2)) - \log(C(\varepsilon_1))] / [\log(\varepsilon_2) - \log(\varepsilon_1)] \approx 2.22$ ,  $\varepsilon_1 = 0.1$ ,  $\varepsilon_2 = 0.11$ .

### 3. თავი ერთგვაროვანი დამაგნიტების არაწრფივი და სტოქასტური დინამიკა თხელ მაგნიტურ სტრუქტურებში [61]

დამაგნიტების არაწრფივი პრეცესიული დინამიკის მიმართ ინტერესი აიხსნება დინამიური ეფექტების მრავალგვარობით, რომლებიც წარმოიქმნება როდესაც სპინურ სისტემაზე მოქმედებს მაღალსიხშირული ველი [62-64]. ამ დროს შესაძლებელია მივიღოთ დამაგნიტების პრეცესიის დიდი კუთხეები და მოვახდინოთ დინამიური ქაოსის რეალიზაცია. ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ობიექტს სხვადასხვა არაწრფივი დინამიური რეჟიმის განსახორციელებლად და გამოსაკვლევად წარმოადგენს თხელი მაგნიტური ფირები, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე ინტეგრალურ სქემებში.

უკანასკნელ წლებში ინფორმაციის მატარებლებისა და ჩაწერის ახალ მეთოდების გამოგონებისა და დამუშავებასთან დაკავშირებით ძალიან აქტუალური გახდა თხელი მაგნიტური ფირების გადამაგნიტების პრობლემის შესწავლა [64-69]. ამ დროს არაწრფივი რეგულარული და სტოქასტური რეჟიმის ძირითადი თავისებურებები შესაძლებელია გამოვლინდეს ერთგვაროვნად დამაგნიტებულ სტრუქტურებში. გარდა ამისა, არაწრფივი რეჟიმების პრაქტიკული გამოყენებისას, როდესაც მნიშვნელოვანია სისტემის რეაქცია გარე ზემოქმედებაზე, ერთგვაროვანი დამაგნიტების პრეცესიული დინამიკა არის უპირატესი.

როგორც ცნობილია გარე სტატიკური და მაღალსიხშირული მაგნიტური ველების ურთიერთპერპენდიკულარული ორიენტაციის დროს ერთგვაროვანი პრეცესია არის არამდგრადი. არსებობს სულ მცირე ორი მექანიზმი ენერჯის გადაცემისა ერთგვაროვანი პრეცესიიდან სპინურ ტალღებზე [69]: 1) სამმაგნონიანი – როდესაც ხდება მაგნონის  $\vec{k} = 0$  ტალღური ვექტორით დაშლა ორ მაგნონათ ტალღური ვექტორებით:  $\vec{k}$  და  $-\vec{k}$  სიხშირით  $\omega_{\vec{k}} = \omega_0 / 2$ , სადაც  $\omega_0$ -ერთგვაროვანი პრეცესიის სიხშირეა. 2) ოთხმაგნონიანი- რომლის დროსაც ორი მაგნონის ნაცვლად  $\vec{k} = 0$  ტალღური ვექტორით წარმოიქმნება ორი მაგნონი ტალღური ვექტორებით  $\vec{k}$  და  $-\vec{k}$ , სიხშირით  $\omega_0$ . როდესაც მაღალსიხშირული ველის სიხშირე მეტია ზღვრულ მნიშვნელობაზე  $\omega \geq \omega_0$  ზემოთ აღნიშნული პროცესები იწვევენ სპინ-ტალღურ არამდგრადობებს. სისტემაში შეიძლება გაჩნდეს სპინური ტალღები და მოხდეს ერთგვაროვანი პრეცესიის დატუმბვის ენერჯის გადადინება სპინურ ტალღებზე.
